

წყლისა და სანიტარიის მდგომარეობის შეფასება ქვემო ქართლის დასახლებებში

საბოლოო ანგარიში

მომზადებულია

სიმონ გაბრიჭიძის მიერ,

იანვარი, 2018



მადლიერება

ანგარიშის ავტორს სურს, მადლიერება გამოხატოს ყველა იმ პირის თუ ორგანიზაციის მიმართ, რომლებმაც სხვადასხვა ფორმით წვლილი შეიტანეს შეფასების განხორციელებასა და ანგარიშის მომზადებაში. მადლობას ვუხდით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ექსპერტს რობინზონ წიკლაურს, მეთოდოლოგიურ საკითხებში, ასევე სამიზნე ადგილებში წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შეფასების პროცესში გაწეული დახმარებისათვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით CENN-ის ქვემო ქართლის კოორდინატორს, მარიკო წიქორიძეს, შესანიშნავი მეგზურობისა და კომპეტენტური რჩევებისათვის. დასასრულ, მინდა, უღრმესი პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო CENN-ის თბილისის ოფისის თანამშრომლების, ვახტანგ ქოჩორაძისა და მელანო ტყაბლაძის, მიმართ შეფასების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გაწეული მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

შეფასების მიზანი

შეფასების ძირითად მიზანს წარმოადგენდა წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური (WASH) მდგომარეობის შეფასება ქვემო ქართლის რეგიონის წინასწარ შერჩეულ სამ ლოკაციაში (დმანისისა და წალკის რაიონებში) და რეკომენდაციების მომზადება გამოვლენილი პრობლემების/გამოწვევების გადაწყვეტის მიზნით. შეფასება ჩატარდა კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიმდინარე პროექტის „Georgia Community WASH Initiative (GC-WASH) in Kvemo Kartli Region, Georgia“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია Global Water Challenge-ის მიერ.

სამიზნე ლოკაციები, გაწეული სამუშაოს გეგმა-გრაფიკი და განხორციელების ვადები

წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შეფასება განხორციელდა ქვემო ქართლის სამ დასახლებაში. მათგან ორი ლოკაცია წარმოადგენდა საშუალო სკოლას (სოფელ ავრანლოს საჯარო სკოლა (წალკის რაიონი და სოფელ ველისპირის არასრული საჯარო სკოლა (დმანისის რაიონი)), ხოლო მესამე - დმანისის ყოფილი საავადმყოფოს ტერიტორიაზე არსებული ეკომიგრანტთა/სოციალურად დაუცველ პირთა თავშესაფარს. წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაფასებლად და ანგარიშის მოსამზადებლად სულ გამოყოფილ იქნა 11 სამუშაო დღე, რომლებიც გადანაწილდა კონკრეტულ საქმიანობებზე ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით:

	სამუშაოს დასახელება	დღეების რაოდენობა
1	ტექნიკური შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და კითხვარების მომზადება	1
2	ტექნიკური შეფასება რეგიონებში: 3 ლოკაცია, თითო ლოკაციაზე - 2 სამუშაო დღე	6
3	ანგარიშის მომზადება	4
	სულ	11

კონტრაქტით განსაზღვრული სამუშაოების წარმოება დაიწყო 2017 წლის 19 დეკემბერს და დასრულდა 2018 წლის 18 იანვარს.

კვლევის მეთოდოლოგია და დიზაინი

სკოლებსა თუ მოწყვლადი მოსახლეობით (ეკომიგრანტებით, სოციალურად დაუცველი პირებით) დასახლებულ კოლექტიურ ცენტრში წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესახებ მონაცემები **ხუთი ძირითადი** საკითხის ირგვლივ დაჯგუფდა.

კვლევა მოიცავდა რაოდენობრივ, კი ნაწილობრივ, თვისობრივ კომპონენტებს. კერძოდ, კვლევის ჩასატარებლად სკოლებში გამოყენებულ იქნა გაერო - ს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული სკოლებში წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების გლობალური შეფასებისა და მონიტორინგის (WASH) მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს 2 ძირითად მიმართულებას: ა) სკოლის დირექტორებთან/ადმინისტრატორებთან პირისპირ ინტერვიუს, ბ) ინფრასტრუქტურასა და მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვებას. შერჩევის ნიშნებს წარმოადგენს: რეგიონი, დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი), ეთნიკურობა - სწავლების ენა (ქართული/არაქართული) და მოსწავლის შეზღუდული შესაძლებლობები.

ამგვარად, კითხვარი შემუშავდა WASH - ის კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველზე და მოიცავდა შემდეგ ძირითად საკითხებს: წყალი, სანიტარია, ჰიგიენა, ნარჩენები, ოპერირება.

წყალი: წყალმომარაგების წყაროები და წყლის უვნებლობა, წყლის ოდენობა, წყლის ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

სანიტარია: ტუალეტის (ჯიხურების) რაოდენობა და მდებარეობა, განაწილება და ხელმისაწვდომობა გენდერულ ჭრილში და ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

ჰიგიენა: ხელსაბანი ნიჟარების ოდენობა და განაწილება; საპონი/ტუალეტის ქაღალდის ხელმისაწვდომობა; ჰიგიენის სწავლების პრაქტიკა სკოლაში.

ნარჩენები: მყარი ნარჩენების გატანა; ჩამდინარე წყლის გადინება.

ოპერირება: წყალმომარაგების ობიექტების გამართულობა; სანიტარიული ობიექტების გამართულობა და სისუფთავე.

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების თვალსაზრისით განსხვავებების იდენტიფიცირება სკოლის ადგილმდებარეობის, მოსწავლეთა კონტინგენტისა და რეგიონული თავისებურებების მიხედვით. აქცენტი გაკეთდა აგრეთვე წყლისა და სანიტარიული საშუალებების ხელმისაწვდომობაზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთან ბავშვებთან მიმართებაში. ცალკე პუნქტებად იქნა შეფასებული ხელმისაწვდომობის საკითხები აგრეთვე დაწყებითი კლასის მოსწავლეებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ბავშვების შემთხვევაში.

მოწყვლადი მოსახლეობით დასახლებულ კოლექტიურ ცენტრებში წყლისა და სანიტარიული პირობების შეფასების მიზნით დამატებით გამოყენებულ იქნა Mercy Corps - ის მიერ ამ მიზნით მოწოდებული სპეციალური სახელმძღვანელო (Mercy Corps – WASH Guidelines). შემფასებლის მიერ წინასწარ განხორციელდა სახელმძღვანელოში მითითებული კითხვარის ადაპტირება და ადგილობრივ რეალობაზე მორგება. თუმცა ამ შემთხვევაშიც ძირითადი თემები იგივე დარჩა: **წყალი, სანიტარია, ჰიგიენა, ნარჩენები და ოპერირება.**

კვლევის შედეგების დამუშავების მიზნით განხორციელდა სტრუქტურული კითხვარების სათანადო კოდირება. ცალკე განხორციელდა ხელმძღვანელ პირებთან ინტერვიუების ჩანაწერების მომზადება და მათი ანალიზი. მონაცემების დამუშავების შედეგად მომზადდა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები კვლევის ადგილებში არსებული მდგომარეობების გამოსასწორებლად.

შეფასების ანგარიშის სტრუქტურა

შეფასების საბოლოო ანგარიშში შევიდა შემდეგი ძირითადი თავები:

- შეფასების მიზანი
- სამიზნე ადგილები, გაწეული სამუშაოს გეგმა-გრაფიკი და განხორციელების ვადები
- შეფასების მეთოდოლოგია და დიზაინი
- წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლებში: ზოგადი მოთხოვნები
- სასმელი წყლის ხარისხის ჰიგიენური პარამეტრები
- ზოგადი მოთხოვნები წყლით უზრუნველყოფისადმი სკოლაში
- ზოგადი მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი
- ზოგადი მოთხოვნები სანიტარიული და ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფისადმი სკოლაში
- შეფასების ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები
 1. ავრანლოს საჯარო სკოლა
 2. ველისპირის არასრული საჯარო სკოლა
 3. დმანისის ყოფილი საავადმყოფოს თავშესაფარი
- სკოლების მოკლე სტრუქტურული ანალიზი (WASH-ის კითხვარით კვლევის შედეგებზე დაყრდნობით)
- დანართები

წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლებში: ზოგადი მოთხოვნები

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სკოლის შენობები წყალ-საკანალიზაციო სისტემების მიხედვით იყოფა ორ პირობით კატეგორიად: „ა“ და „ბ“ კატეგორიებად. „ა“ კატეგორიას მიეკუთვნება ყველა ის სკოლა, რომლებიც მდებარეობს ქალაქში, რაიონულ ცენტრში, დიდ სოფელში ან ნებისმიერ ისეთ ადგილას, სადაც ფუნქციონირებს ცენტრალური წყალ-საკანალიზაციო სისტემა. „ბ“ კატეგორიად მიიჩნევა ყველა ის სკოლა, რომლებიც მდებარეობს მაღალმთიან რაიონში, პატარა სოფელში ან ნებისმიერ ისეთ ადგილას, სადაც არ არსებობს ცენტრალური წყალ-საკანალიზაციო სისტემა.

„ბ“ კატეგორიის სკოლები იყოფა ორ ჯგუფად:

I ჯგუფი - სკოლის შენობები, სადაც სტანდარტების მოთხოვნით შესაძლებელია შიდა სან-კვანძის მოწყობა.

II ჯგუფი - სკოლები, სადაც შიდა სან-კვანძის მოწყობა არსებული გეგმარებით მოუხერხებელია.

ჩვენ მიერ შეფასებული ორივე სკოლა მიეკუთვნება „ბ“ კატეგორიის II ჯგუფს. აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ ყველა „ბ“ კატეგორიის სკოლა მარაგდებოდეს სასმელი და ხელის დასაბანი წყლით. სასმელად გამოყენებული წყალი უნდა იყოს შეფასებული შესაბამისი კომპეტენტური სამსახურების მიერ სასმელად ვარგისიანობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასმელად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს წყაროს ან არტეზიული ჭიდან მოპოვებული წყალი. ასეთის არქონის შემთხვევაში უნდა მოხდეს სასმელი წყლის მომარაგება და სათანადო შენახვა ჰიგიენური პირობების დაცვით.

არტეზიული ჭა უნდა იყოს ტექნოლოგიურად დაცული გარედან რაიმე სახის დაბინძურებისგან. შესაბამისი სამსახურების მიერ პერიოდულად უნდა მოხდეს წყლის შემოწმება სასმელად ვარგისიანობაზე (განსაკუთრებით - წყალდიდობებისა და ბუნების სხვა სტიქიური მოვლენების შემდეგ). ხოლო სანიტარიული კვანძის მომსახურებისთვის შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს სამარაგე ავზში შეგროვებული ბუნებრივი ნალექები ან სხვა ტიპის ტექნიკური წყალი, თუმცა აღნიშნული არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასმელად და ხელის დასაბანად.

სასმელი წყლის ხარისხის ჰიგიენური პარამეტრები

სასმელად უვარგისი წყლის მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები შეიძლება იყოს მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი. გრძელვადიანი მიკრობული რისკი დაკავშირებულია მიკროორგანიზმებით დაბინძურებული წყლის რეგულარულ და ხანგრძლივ მოხმარებასთან, ხოლო ეპიდემიური რისკი - ძალზე ვირულენტური მიკროორგანიზმებით დაბინძურებული წყლის მოხმარებასთან.

სკოლაში სასმელად გამოყენებული წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ჯანმრთელობისათვის და მისი ხარისხი შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს. „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის N 349/ნ ბრძანებით განსაზღვრულია სასმელი წყლის ხარისხის შემდეგი მაჩვენებლები და მათი ნორმატიული სიდიდეები:

- ორგანოლექტიკური მაჩვენებლები
- მიკრობიოლოგიური, ვირუსოლოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლები
- ქიმიური მაჩვენებლები (ზოგადი მაჩვენებლები, არაორგანული და ორგანული ნივთიერებები)
- რადიაციული უსაფრთხოების მაჩვენებლები
- წყლის დამუშავების პროცესის შედეგად წარმოქმნილი მავნე ქიმიური ნივთიერებების ნორმატივები

რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები სასმელი წყლის უსაფრთხოებისთვის:

- სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ეპიდემიური და რადიაციული თვალსაზრისით, ქიმიური შემადგენლობით – უვნებელი და ჰქონდეს კეთილსასურველი ორგანოლექტიკური თვისებები.
- სასმელი წყლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ სანიტარიულ ნორმებს.
- სასმელ წყალში არ დაიშვება შეუიარაღებელი თვალით შესამჩნევი წყლის ორგანიზმებისა და ზედაპირული აკვის არსებობა.
- სასმელი წყლის ეპიდემიური უსაფრთხოება განისაზღვრება მიკრობიოლოგიური, ვირუსოლოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლების რეგლამენტით დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობით.

ზოგადი მოთხოვნები წყლით უზრუნველყოფისადმი სკოლაში

- სკოლას უნდა ჰქონდეს სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგების სისტემა.
- სკოლის წყალმომარაგების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხო და საკმარისი რაოდენობით წყლის მიწოდებას სასმელი და სამეურნეო მიზნებისათვის (ხელების დაბანა, საკვების მომზადება, ტუალეტების ჩარეცხვა, სათავსების დასუფთავება).
- სკოლაში სასმელად გამოყენებული წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ჯანმრთელობისათვის და მისი ხარისხი შეესაბამებოდეს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის N349/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.
- სკოლისათვის მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 17 დეკემბრის N349/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.
- წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არარსებობის ან წყლის შეფერხებებით მოწოდების შემთხვევაში სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონდეს წყლის რეზერვუარი (ავზი).
- წყლის რეზერვუარი საკმარისი მოცულობის თავდახურულ ავზს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება და ჩაუტარდება დეზინფექცია.
- წყლის რეზერვუარების დამუშავების პერიოდულობის კონტროლის მიზნით, აუცილებელია ჩატარებული სამუშაოების სათანადო აღრიცხვა შესაბამის ჟურნალში.
- წყლის ავზების დამუშავება ყოველთვიურად უნდა ჩატარდეს, ხოლო სასმელი წყლის რეზერვუარში წყლის ცვლა ყოველ 48 საათში უნდა ხდებოდეს.
- წყლის რეზერვუარის დეზინფექციის ჩასატარებლად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალება.

- სასმელი წყლის წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს ჭა, რაც ასევე საჭიროებს განთავსების, მოვლისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვას, კერძოდ:
 - ა) ჭა უნდა განთავსდეს არანაკლებ 30 მეტრის დაშორებით დაბინძურების ნებისმიერი წყაროდან (მაგალითად, გარე სანიტარიული კვანძისაგან);
 - ბ) დაუშვებელია პესტიციდების გამოყენება ჭიდან 100 მეტრის რადიუსში;
 - გ) ჭა მუდმივად უნდა მოწმდებოდეს სტრუქტურული მთლიანობის დასადგენად;
 - დ) ჭის გარშემო უნდა მოეწყოს ღობე ცხოველებისაგან დასაცავად;
 - ე) ჭის გარშემო უნდა მოეწყოს სადრენაჟო სისტემა ზედაპირული და დაღვრილი წყლით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;
 - ვ) წყლის ამოსაღები ჭურჭელი სუფთად უნდა ინახებოდეს;
 - ზ) ჭა თავდახურული უნდა იყოს.
- სკოლას უნდა ჰქონდეს სათანადოდ აღჭურვილი სასმელი წყლის წერტილები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის, მათ შორის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.
- სასმელი წყლით მოსწავლეთა უზრუნველყოფა დასაშვებია, როგორც წყლის დისპენსერების ან წყლის შადრევნების, აგრეთვე წყლის კონტეინერების გამოყენებით, ამასთან:
 - ა) წყლის კონტეინერი ყოველდღიურად ან ყოველი დაცლისას უნდა გაირეცხოს;
 - ბ) წყლის კონტეინერს მჭიდრო თავსახური უნდა ჰქონდეს;
 - გ) წყლის კონტეინერი უნდა იდგეს მაგიდაზე ან თაროზე და არა იატაკზე.
- წყლის დისპენსერები უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ერთჯერადი გამოყენების ჭიქებით, ხოლო წყლის დისპენსერის სინქრონულ რეჟიმში მომუშავე ავზი უნდა ექვემდებარებოდეს პერიოდულ გამორეცხვასა და დეზინფექციას.
- სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ადმინისტრაციის მიერ უნდა ხორციელდებოდეს იმ სასმელი წყლის გაუვნებელოება, რომელიც დაუცველი წყაროდან მოეწოდება.
- სასმელი წყლის გაუვნებელოება სკოლაში უნდა ხორციელდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მეთოდებისა და წესების გამოყენებით.
- ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და საკმარისი სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფა გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასკოლო ბიუჯეტით.

ზოგადი მოთხოვნები სანიტარიული და ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფისადმი სკოლაში

სკოლაში არსებული ტუალეტი უნდა იყოს: სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. რადგან ჩვენი შეფასება ეხება „ბ“ კატეგორიის II ჯგუფის სკოლებს, ქვემოთ მოყვანილია მათ მიმართ წაყენებული ძირითადი მოთხოვნები:

- „ბ“ კატეგორიის სკოლების II ჯგუფისათვის გარე სანიტარიული კვანძი უნდა მოეწყოს სექტიკური ავზის თავზე ან ცალკე შენობაში, რომელიც მილგაყვანილობით იქნება დაკავშირებული სექტიკურ ავზთან.
- გარე სანიტარიული კვანძი სკოლის შენობიდან, სათამაშო და დასასვენებელი მოედნებიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 20 და არაუმეტეს 100 მეტრით. ხოლო ტუალეტის დაშორება ჭებისა და წყალმომარაგების წყაროების კაპტაჟებიდან უნდა შეადგენდეს 30-50მ-ს.
- გარე სანიტარიულ კვანძს აუცილებელია, ჰქონდეს:
 - ა) საასენიზაციო სექტიკი წყალგამტარი ფსკერით, კედლებითა და სახურავით;
 - ბ) მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადით აღჭურვილი სავენტილაციო მილი;
 - გ) ბუნებრივი და ხელოვნური განათება;
 - დ) ხელსაბანი;
 - ე) ტუალეტთან მისასვლელი მოკირწყლული ბილიკი;
 - ვ) სკოლის ტუალეტებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პრივატულობა და დაცულობა.
 - იმ სკოლებში, სადაც არ არის უზრუნველყოფილი მუდმივი წყლის მიწოდება, უნდა დამონტაჟდეს სამარაგო ავზი, სანიტარიული კვანძების წყალმომარაგების მიზნით.
 - სოფლად და იმ ტერიტორიებზე, სადაც არ არის წყალ-საკანალიზაციო გაყვანილობა, ეზოს ტუალეტები სანიტარიული წესებისა და ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისად უნდა იქნეს მოწყობილი.
 - ტუალეტების დასუფთავება და ტექნიკური გამართულობის შემოწმება რუტინულად უნდა ხორციელდებოდეს სკოლაში, რათა მუდმივად იქნეს უზრუნველყოფილი სუფთა და მოქმედი ტუალეტების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის.
 - სკოლის ადმინისტრაციის მიერ დადგენილ უნდა იქნეს ტუალეტების დასუფთავების წესები, პერიოდულობა, დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა.
 - სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის უნდა გამოიყენებოდეს სპეციალურად ამ მიზნებისათვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარი, რომელიც ინახება განცალკევებით და ექვემდებარება დამუშავებას ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ.
 - სკოლის სათავსების დასუფთავებისათვის გამოყენებული საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები უნდა ინახებოდეს სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი შეფუთვით, რათა შესაძლებელი

იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირთათვის.

- სკოლის წლიურ ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს სანიტარიული კვანძების დასუფთავების, საპნითა და ხელის გამშრალების საშუალებით უზრუნველყოფის ხარჯები.

ზოგადი მოთხოვნები დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფისადმი

- სკოლის ტერიტორია ყოველდღიურად უნდა დასუფთავდეს, ხოლო ნაგავი მოგროვდეს და ჩაიყაროს ეზოში არსებულ თავსახურიან ნაგავშემკრებ კონტეინერებში, რომლებიც სკოლის შენობიდან 25-30 მეტრის მოშორებითაა განთავსებული.
- სკოლაში ყოველდღიურად უნდა ხორციელდებოდეს მყარი ნარჩენების შეგროვება საკლასო ოთახებში, სამზარეულოში, ადმინისტრაციულ, სხვა სათავსებში და უსაფრთხო გატანა სკოლის შენობიდან.
- ნაგვის კონტეინერების დაცლა მათი 3/4-ით გავსებისთანავე უნდა ხდებოდეს, რათა არ გადაივსოს.
- ნაგვის ლპობისა და ხრწნის თავიდან აცილების მიზნით, ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს კონტეინერების გატანა სკოლის ტერიტორიიდან, განსაკუთრებით - წლის თბილ პერიოდში. ყოველთვიურად კონტეინერები უნდა გაირეცხოს და ჩაუტარდეს დეზინფექცია (60წთ-ის განმავლობაში 10%-იანი ქლორიანი კირის ხსნარით ან სხვა ნებისმიერი შესაბამისი დეზინფექტანტით).
- სკოლაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნახმარი წყლების მოცილება/არინება და სეპტიკური ავზების დაცლა დროულად და უსაფრთხოდ.
- სკოლის ადმინისტრაციის ორგანიზებით, სპეციალიზებული სამსახურის მეშვეობით, უნდა ჩატარდეს ნარჩენების კონტეინერების განთავსების ადგილის, ასევე საწყობებისა და სარდაფების პერიოდული დამუშავება მწერებისა და მღრღნელების გამრავლების საწინააღმდეგო საშუალებებით (დეზინსექცია, დერატიზაცია).

შეფასების ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

1. სოფელ ავრანლოს საჯარო სკოლა (წალკის მუნიციპალიტეტი)

სოფელ ავრანლოში ფუნქციონირებს სრული საჯარო სკოლა. შეფასების მომენტში სკოლაში ირიცხებოდა 115 მოსწავლე (64 ბიჭი და 51 გოგო), მათ შორის 19 მიეკუთვნებოდა ეთნიკურ უმცირესობას (ბერძენი, სომეხი, ოსი). პედაგოგების რაოდენობა შეადგენდა 20 - ს (7 მამაკაცი და 13 ქალი).



არსებული პრობლემები:

1. სანიტარიულ-ჰოგიენური შეფასების ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა ტუალეტებში არსებულ მდგომარეობას უკავშირდება. სკოლის გარე ტერიტორიაზე განთავსებულია „ორმოს“ ტიპის ტუალეტი ჯიხურით, რომელიც მოიცავს 5 ერთეულს: 3 ერთეული ერთად - ბიჭებისთვის, 1 განცალკევებულად - პედაგოგებისთვის და ერთი განცალკევებულად - გოგონებისთვის. ტუალეტი არაა ადაპტირებული არც შშმ და არც უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის. არსებული ტუალეტების სანიტარიული მდგომარეობა არანაირად არ პასუხობს არსებულ სანიტარიულ სტანდარტებს: არაა მოპირკეთებული, რაც შესაძლებელს გახდიდა მის ხარისხიან დასუფთავებას, საერთოდ არ ტარდება დეზინფექცია. ვიზიტის მომენტში დაფიქსირდა მძიმე ანტისანიტარია, იმ ხარისხით, რომ მისი ფუნქციონირების გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია. ამასთან აღსანიშნავია, რომ სკოლის ტუალეტით სარგებლობენ არა მარტო მოსწავლეები და პედაგოგები, არამედ სოფლის მოსახლეობაც, ვინაიდან სკოლის ტერიტორია არაა შემოღობილი და სკოლასთან ახლოს ფუნქციონირებს სარიტუალო დარბაზი.



2. სკოლის ტერიტორია არაა შემოღობილი, რაც შესაძლებელს ხდის სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა და საქონლის თავისუფლად შეღწევასა და დაბინძურებას, რაც დამატებით პირობებს ქმნის ხელს უწყობს ეზოს ანტისანიტარიული მდგომარეობისათვის.



3. ტუალეტთან არ არის ხელის დაბანის შესაძლებლობები (წყალი საერთოდ არ არის მიყვანილი). ხელის დაბანა შესაძლებელია სკოლის შენობაში (2 ერთეული) და სკოლის წინა ეზოში. აღნიშნული წყლის პუნქტები ტუალეტებისაგან საკმაოდ დაშორებულია და, ძირითადად, წყლის დასაღვად გამოიყენება და არა ხელის დასაბანად. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ნიჟარებთან არ არსებობს არანაირი სახის საპონი (მყარი ან თხევადი).

4. საეჭვოა, რომ წყლის ხარისხი იყოს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო. სკოლის დირექციის გადმოცემით, წყალი თავისი ბაქტერიოლოგიური მონაცემებით სასმელად უვარგისია. ამავე დროს, სკოლის მოსწავლეები წყლის დასაღვად იყენებენ საერთო სარგებლობის საზიარო ჭურჭელს, რაც დამატებით ხელს უწყობს ინფექციების გავრცელებას. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, მოსწავლეებში ხშირად აღინიშნება ნაწლავთა ინფექციები (ძირითადად დიარეით მიმდინარე).



5. სკოლაში არ არსებობს სპეციალური პროგრამა, რის მიხედვითაც განხორციელდებოდა ჰიგიენის საკითხების სწავლება. ზოგადად, ეს სფერო არ მიიჩნევა პრიორიტეტულად, რასაც ასევე ადასტურებს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში საკითხის სრული იგნორირება. გეგმაში ერთი წინადადებითაც არ არის ნახსენები წყლისა და სანიტარიის მხრივ სკოლაში არსებულ პრობლემები და მათი გადაჭრის პოტენციური გზები. გარდა ამისა, არც პედაგოგებს და არც მოსწავლეებს არ ჩასტარებიათ რაიმე ტრენინგი სანიტარიულ-ჰიგიენური საკითხების შესახებ. ვიზიტის დროს სკოლაში არ აღმოჩნდა რაიმე ბეჭდური საინფორმაციო მასალა (ლიფლეტი, ბუკლეტი, ბროშურა) აღნიშნულ თემაზე. ამდენად, მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში თუ გაესაუბრება პედაგოგი მოსწავლეებს ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ და ისიც არასრულფასოვნად.

6. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოულოდნელობას არ წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ვიზიტის დღეს საკლასო ოთახებში სასკოლო ავეჯი და ინვენტარი იყო დამტვერილი და

დაბინძურებული. მოსწავლეები აღნიშნავენ მტვრით გამოწვეულ სხვადასხვა სახის ჩივილებს (მაგ., გამონაყარი სახეზე, ხველება/ცემინება). სკოლაში არის მხოლოდ ერთი დამლაგებელი (ხანში შესული მამაკაცი), რომლის შენარჩუნებასაც კი სკოლა გაჭირვებით ახერხებს დაბალი ანაზღაურების გამო (120 ლარი). სკოლა ფინანსდება ვაუჩერული სისტემით და მიეკუთვნება 1-169 კონტინგენტთანთა კატეგორიას. რადგან აღნიშნული კონტინგენტის მქონე სკოლები ერთნაირად ფინანსდებიან, ფინანსურად უკეთეს მდგომარეობაში უფრო ის სკოლები არიან, რომელთაც მოსწავლეთა შედარებით ნაკლები რაოდენობა და ნაკლები უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგი ჰყავთ (რადგან უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგს ხელფასი მეტი ეკუთვნის). ამ მხრივ ავრანლოს სკოლა შედარებით არასახარბიელო მდგომარეობაშია. აღსანიშნავია, რომ არსებული ბიუროკრატიული ბარიერები ხშირად პრობლემურია სკოლისათვის და ის ვერ ახერხებს მწირი ფინანსების ეფექტურ და საჭიროებისამებრ განკარგვას. სკოლას უჭირს მისთვის სასურველი შესყიდვის დროულად განხორციელება და სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე ხარჯების გაწევის ნაცვლად რჩება ნაშთი (მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა როგორც 2015, ასევე 2016 წლებში).

7. სკოლის ტერიტორიაზევა განთავსებული არალეგალური ნაგავსაყრელი, სადაც სოფლის მოსახლეობა ყრის მყარ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, რაც, თავის მხრივ, ქმნის საკმაოდ მნიშვნელოვან ანტისანიტარიის კერას სკოლის ტერიტორიაზე. თავად სკოლას მყარი ნარჩენები გააქვს თავისავე ტერიტორიაზე და წვავს თითქმის ყოველდღიურად (ზეპირი გადმოცემის მიხედვით). სკოლის შენობაში არის მხოლოდ ნაგვის ერთი კონტეინერი.



8. სკოლის შენობაში მთელი სასწავლო პროცესის (დღის) განმავლობაში ბავშვები ფაქტობრივად არ იკვებებიან. სკოლაში არ არსებობს ბუფეტი. მოსწავლეთა ნაწილი სკოლის ტერიტორიის გარეთ არსებულ მაღაზიაში ყიდულობს მშრალ საკვებს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში არაჯანსაღია (მაგ., ჩიპსი). მოსწავლეთა ნაწილი ასევე ცდილობს, არ დალიოს სკოლაში არსებული წყალი. დილიდან შუადღის 15-16 საათამდე მოზარდების მსგავსი ყოფა ყოვლად გაუმართლებელია და დროთა განმავლობაში უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობაზე.

9. სკოლის მენეჯმენტს არ გააჩნია სათანადო ინფორმაცია წყლის მიწოდების ფუნქციონირების შენარჩუნებასა თუ სისტემის დაზიანებების დროულ შეკეთებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების შესახებ, ეს შეეხება აგრეთვე სანიტარიულ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციას.

გარდა სკოლისა, შეფასების ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები წალკის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან (მერი, მერის მოადგილე, საფინანსო განყოფილების უფროსი) და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან. განხილულ იქნა პრობლემების მოგვარების შესაძლებლობები და გზები საჭირო ფინანსების მოძიებისა თუ კომპეტენციების განსაზღვრასთან/დაზუსტებასთან მიმართებაში, უახლოესი მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით. შეხვედრების პროცესში გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- ცენტრალიზებული მართვის სისტემა და არსებული ბიუროკრატიული ბარიერები უმთავრეს ხელისშემშლელ მიზეზებს წარმოადგენენ სკოლაში წყლისა და სანიტარიული პრობლემების ეფექტიან მოსაგვარებლად. ეს ეხება განსაკუთრებით შედარებით მაღალ ბიუჯეტთან ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ადგილობრივ მუნიციპალიტეტს საშუალება არა აქვს, სკოლის ტერიტორიაზე ან შენობაში რაიმე სამუშაოს განხორციელებისათვის პირდაპირ გამოყოს თანხები, რადგან ეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრეროგატივას წარმოადგენს.
- თუმცა დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზე სკოლების მართვის ფუნქციის გადმოცემის შემთხვევაშიც კი წალკის რაიონის მწირი ფინანსური შესაძლებლობები ნაკლებად იძლევა სკოლაში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საშუალებას.
- ფინანსურთან ერთად მნიშვნელოვანი პრობლემაა ადგილობრივი ხელისუფლების შეზღუდული ტექნიკური შესაძლებლობები, რაც ასევე აბრკოლებს სკოლებში წყლისა და სანიტარიული პრობლემების დროულ იდენტიფიცირებასა და გადაწყვეტას.

რეკომენდაციები:

- რეგიონში არსებული მკაცრი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, აუცილებელია სანიტარიული კვანძის (ტუალეტების) განთავსება სკოლის შენობაში, ხელის დაბანის საკმარისი შესაძლებლობებითა და სათანადო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფით.
- უნდა მოეწიოს ტუალეტებთან და სკოლის შენობაში საკმარისი რაოდენობით ხელის დაბანის საშუალებები (წყლის ონკანი და ნიჟარა), ამასთან, რამდენიმე ადაპტირებული უნდა იყოს უმცროსი ასაკის ბავშვებსა და შშმ მოსწავლეებთან. ხელის დასაბან ნიჟარებთან მუდმივად უნდა იყოს საპონი (სასურველია - თხევადი).
- სასწრაფოდ უნდა შემოიღოს სკოლის ტერიტორია, რაც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიის დაცვას გარეშე პირთაგან და საქონლისაგან, აგრეთვე უპატრონო ძაღლებისაგან.
- უნდა განხორციელდეს წყლის ხარისხის პერიოდული ლაბორატორიული კონტროლი, რათა გამოირიცხოს წყლის მიკრობული დაბინძურება და წყალი გახდეს სასმელად ვარგისი.
- სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს ნაგავსაყრელის საკითხი: გატანილ უნდა იქნეს იგი სკოლის ტერიტორიიდან და უზრუნველყოფილი უნდა იყოს სკოლის მყარი ნარჩენების

დადგენილი პერიოდულობით უსაფრთხო გატანაც (სკოლას უნდა ჰქონდეს ნაგვის გატანის გრაფიკი). იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს დასუფთავების სპეციალური სამსახურის მიერ და არა თვითნებურად - სკოლის პერსონალის მიერ.

- უნდა შემუშავდეს სკოლაში ჰიგიენური საკითხების სწავლების სპეციალური პროგრამა, რომელიც დაიკავებს სასწავლო პროგრამაში მნიშვნელოვან ადგილს. ამასთან, პროგრამაში ხაზგასმული უნდა იყოს ხელის დაბანისა და საპნის გამოყენების უპირატესი მნიშვნელობა.
- უნდა შემუშავდეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და მიეწოდოს სკოლის მოსწავლეებს იმ ფორმით, რომ მათ შეძლონ ამ მასალის გამოყენება. სასურველი იქნება, თუ მასალა, ქართულის გარდა, მომზადდება იმ ეთნიკური უმცირესობების ენებზე, რომელთა ბავშვებიც სწავლობენ ქვემო ქართლის სკოლებში. მასალა უნდა იყოს სათანადოდ ილუსტრირებული და ადვილად აღსაქმელი ყველა ასაკის მოსწავლისათვის. ამასთან, უნდა მომზადდეს (დატრენინგდეს) სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც სათანადო ცოდნას გადასცემს სკოლის პედაგოგებს ჰიგიენის საკითხების სათანადო დონეზე სწავლებისათვის. მიზანშეწონილი იქნება ამ თემებზე სატელევიზიო და რადიოგადაცემების მომზადება და აქტივობები სოციალურ ქსელებში/ინტერნეტშესაძლებლობების ფართოდ გამოყენებით (სპეციალური ვებგვერდი, ბლოგები, თემატური პოსტები, Q & A, და სხვ.).
- ჰიგიენური აღზრდისა და სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის, ეფექტიანი იქნება ბავშვთა თვითშემოქმედების წახალისება/განვითარება (საბავშვო სპექტაკლების/სკეტჩების მოწყობა ჰიგიენური თემების ინსცენირებით. აგრეთვე დერეფნების, კედლებსა და იატაკზე, ეზოებში და ღია სასკოლო ტერიტორიებზე სლოგანის ტიპის თემატური წარწერების თუ ნახატების განთავსება და სხვ.).
- სასურველი იქნება, თუ შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციები თუ დონორები ხელს შეუწყობენ ადგილობრივ ხელისუფლებას ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერების საკითხების გადაწყვეტაში.

2. სოფელ ველისპირის საჯარო სკოლა (დმანისის მუნიციპალიტეტი)

სკოლა წარმოადგენს არასრულ საჯარო სკოლასა და სოფელ გომარეთის საჯარო სკოლის ფილიალს. მასში ირიცხება 24 მოსწავლე (10 ბიჭი და 14 გოგო), მათ შორის 10, სხვა ეროვნების

/არაქართველი (აზერბაიჯანელი) მოსწავლეა. პედაგოგების რაოდენობა შეადგენს -11 -ს (2 მამაკაცი და 9 ქალი).



არსებული პრობლემები:

1. სკოლის ტერიტორია არ არის შემოღობილი, რაც შესაძლებელს ხდის სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა და საქონლის (აგრეთვე ძაღლების) თავისუფლად შეღწევასა და დაბინძურებას. აღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ ანტისანიტარიას და საფრთხეს უქმნის ბავშვებისა და პედაგოგების ჯანმრთელობას/სიცოცხლეს.



2. სერიოზული პრობლემაა ტუალეტებთან დაკავშირებით - სკოლის შენობის გარეთ არსებობს „ორმოს“ ტიპის ტუალეტი ჯიხურით, სადაც განთავსებულია 1 ერთეული, რომელიც საერთოა ყველასთვის (მოსწავლე, პედაგოგი). ტუალეტი დაშორებულია სკოლის შენობიდან 10 მეტრით. ის არ არის ადაპტირებული უმცროსი ასაკის ან შშმ ბავშვების. არსებული ტუალეტის სანიტარული მდგომარეობა არანაირად არ პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს: არაა მოპირკეთებული, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მის შესაბამის დონეზე დასუფთავებას, არ ტარდება დეზინფექცია. სკოლის ტერიტორიაზე (ეზოში) არის კიდევ 2 ტუალეტი („ორმოს“ ტიპის/ხის ჯიხურით), რომლებიც არ ფუნქციონირებენ. ამასთან, ორივე ნახევრად დანგრეულ მდგომარეობაშია, არის ღია, ადვილად ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის და ამის გამო საფრთხეს წარმოადგენს მათი ჯანმრთელობისათვის.



3. ტუალეტთან არ არის ხელის დაბანის შესაძლებლობები (არ არის მიყვანილი წყალი), ფაქტობრივად, ბავშვები ტუალეტით სარგებლობის შემდეგ ხელს არ იბანენ. ხელის დაბანის შესაძლებლობები არ არის არც სკოლის შენობაში და, ამდენად, საპონიც არსად დევს.



4. ვინაიდან წყალი არ არის შეყვანილი სკოლის ტერიტორიაზე, წყალი სკოლაში მოაქვთ პედაგოგებსა და ბავშვებს ერთჯერადი პლასტმასის ბოთლებით/ვედროებით სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები კერძო მოსახლის ეზოში მოწყობილი წყლის ონკანიდან. ტერიტორია არის ძალიან დაბინძურებული საქონლის განავლით და წარმოადგენს დიდ საფრთხეს სკოლის კონტინენტისთვის ინფექციური დაავადების თვალსაზრისით. ამასთან, ამავე ეზოში არის ძალიან, რომელიც არაა დაბმული. შესაბამისად, ბავშვის დაკბენის (და, შესაძლოა, ცოფის გადადების) საფრთხე ყოველდღიურად არსებობს.

5. ამავე დროს ძალზე საეჭვოა, არსებული წყლის ხარისხი აკმაყოფილებდეს სასმელი წყლის უსაფრთხოების სტანდარტებს. სათავე ნაგებობის დათვალიერებამ აჩვენა, რომ ის სანიტარიული წესების სერიოზული დარღვევებით არის შესრულებული და, საერთოდ, დაუცველია კონტამინაციისაგან. მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს სკოლის დირექციაც - ის გადმოცემით, წყალი თავისი ბაქტერიოლოგიური მონაცემებით სასმელად უვარგისია.



6. სკოლაში არ არსებობს სპეციალური პროგრამა, რითაც მოხდებოდა ჰიგიენის საკითხების სწავლება სკოლაში, ამდენად, მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში თუ გაესაუბრება პედაგოგი მოსწავლეებს ჰიგიენის წესების შესახებ და ისიც - არასრულფასოვნად. სკოლაში ასევე არ არსებობს აგრეთვე სანიტარიისა და ჰიგიენის შესახებ საინფორმაციო/სადემონსტრაციო ნაბეჭდი მასალა. რომელიც ბავშვებს მისცემდა აუცილებელ და მათი ჯანმრთელობისათვის მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას. ამდენად, სკოლის მოსწავლეებს არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა პირადი ჰიგიენის წესების შესახებ.

7. მოსწავლეების ნაწილს (უმთავრესად - მცირე ასაკის ბავშვებს) სასმელი წყალი მოაქვთ სახლიდან ერთჯერადი პლასტმასის ბოთლებით (პეტ). ვიზიტის დროს დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ არცერთი ბოთლი წყლისთვის არ იყო განკუთვნილი. ამავე დროს, აღნიშნული ბოთლები ერთჯერადი მოხმარებისათვის არის განკუთვნილი. მათში სითხის (მათ შორის - წყლის) დამატებით ჩასხმა და მითუმეტეს მათი ხანგრძლივი გამოყენება ზიანის მომტანია ჯანმრთელობისათვის. ასეთ შემთხვევაში ბოთლებში მავნე ნივთიერებები გამოიყოფა. სკოლაში ბავშვების ბოთლების დათვალიერებისას ცალსახად ჩანდა, რომ მათი დიდი ნაწილი უკვე გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოიყენებოდა.

8. სკოლის შენობაში მთელი სასწავლო პროცესის (დღის) განმავლობაში ბავშვები იკვებებიან ე.წ. დიდ შესვენებაზე სახლიდან მოტანილი საკვებით. მასწავლებლების გადმოცემით, ჭამის წინ ისინი ბავშვებს ხელის დაბანაში ეხმარებიან. ბავშვები ხელს იბანენ ერთჯერადი პლასტმასის ბოთლებით მოტანილი წყლით. დაბანისას საპონს არ იყენებენ - სკოლაში ჩვენი შეკითხვის შემდეგ დაიწყეს საპნის ძებნა, თუმცა უშედეგოდ.

9. სკოლის შენობაში არ არის ნაგვის კონტეინერი, არის მხოლოდ ერთი სათლი მყარი ნარჩენებისთვის, რომელიც ავსების შემთხვევაში გააქვს დამლაგებელს სოფელში არსებულ „არალეგალურ“ ნაგავსაყრელზე.

9. სკოლაში არაა მოწყობილი არც საკანალიზაციო და არც სადრენაჟო სისტემა.

10. სკოლის მენეჯმენტს (დირექციას) არ გააჩნია სათანადო ინფორმაცია, წყლის მიწოდების ფუნქციონირების შენარჩუნებასა თუ სისტემის დაზიანებების შეკეთებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების შესახებ, ეს შეეხება აგრეთვე სანიტარიულ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციას.

შეფასების ფარგლებში შედგა შეხვედრები დმანისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან (მერი, მერის მოადგილე, სოციალური განყოფილების უფროსი) და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელთან. განხილულ იქნა პრობლემების მოგვარების შესაძლებლობები და გზები, საჭირო ფინანსების მოძიებისა თუ კომპეტენციების განსაზღვრასთან/დაზუსტებასთან მიმართებაში, უახლოესი მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით. ის პრობლემები, რომლებიც დაფიქსირდა წალკის მუნიციპალიტეტში, ანალოგიური იყო დმანისის შემთხვევაშიც. უმთავრეს გამოწვევებს წარმოადგენენ:

- სკოლების მართვის ცენტრალიზებული ნაკლებად ეფექტიანი მოდელი, რის გამოც პრობლემების გადაწყვეტა ვერ ხდება ან ხანგრძლივი ვადით ჭიანჭურდება;
- რაიონის მწირი ბიუჯეტი და ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის ნაკლები დახმარების შესაძლებლობები. ეს ეხება განსაკუთრებით იმ არასრულ სკოლებს, რომლებიც საჯარო სკოლების ფილიალებს წარმოადგენენ;
- მუნიციპალიტეტში სათანადო კომპეტენციების პრობლემა, რისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია კადრების ხშირი ცვლა. ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ხელმძღვანელი პირების უმეტესი ნაწილი ახლი დანიშნული იყო და ფაქტიურად ამჟამად იმყოფება პრობლემების გარკვევის პროცესში.

რეკომენდაციები:

- რეგიონში არსებული მკაცრი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, სასურველია ტუალეტების განთავსება სკოლის შენობაში, ხელის დაბანის საკმარისი შესაძლებლობებითა და სათანადო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფით. უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოხდეს არსებული ტუალეტების შეკეთება (უნდა ფუნქციონირებდეს სამივე ტუალეტი, ამასთან, დიფერენცირებულად/ცალ-ცალკე პედაგოგებისათვის, მოსწავლე ბიჭებისათვის და მოსწავლე გოგონებისათვის). აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს ტუალეტის ადაპტირება უმცროსი ასაკის ბავშვებსა და შშმ მოსწავლეებზე.
- სასწრაფოდ უნდა შემოიღოს სკოლის ტერიტორია, რაც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიის დაცვას გარეშე პირთაგან, საქონლისაგან თუ ძაღლებისაგან.
- უნდა მოხდეს სკოლის ტერიტორიაზე (სასურველია სკოლის შენობაში) წყლის შეყვანა. წყალი უნდა მიეწოდებოდეს უწყვეტი რეჟიმით, ამასთან, ის უნდა იყოს საკმარისი რაოდენობით და აკმაყოფილებდეს სასმელი წყლის ხარისხის სტანდარტებს.
- უნდა მოეწყოს ტუალეტებთან და სკოლის შენობაში საკმარისი რაოდენობით ხელის დაბანისათვის აუცილებელი ატრიბუტები (წყლის ონკანი და ნიჟარა), ამასთან, რამდენიმე ადაპტირებული უნდა იყოს უმცროსი ასაკის ბავშვებსა და შშმ მოსწავლეებზე. ხელის დასაბან ნიჟარებთან მუდმივად უნდა იდოს საპონი.
- უნდა განხორციელდეს წყლის ხარისხის პერიოდული ლაბორატორიული კონტროლი, რათა გამოირიცხოს წყლის მიკრობული დაბინძურება.
- უნდა მოგვარდეს მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვებისა და უსაფრთხო გატანის საკითხი. იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს დასუფთავების სპეციალური სამსახურის მიერ და არა თვითნებურად სკოლის პერსონალის მიერ.

- უნდა შემუშავდეს სკოლაში ჰიგიენური საკითხების სწავლების სპეციალური პროგრამა, რომელიც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს სასწავლო პროგრამაში. ამასთან, ხაზგასმული უნდა იყოს ხელის დაბანისა და საპნის გამოყენების უპირატესი მნიშვნელობა პროგრამაში. ამ მიმართულებით ასევე აუცილებელია, განხორციელდეს მასწავლებელთა სათანადოდ მომზადება.
- უნდა შემუშავდეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და მიეწოდოს სკოლის მოსწავლეებს იმ ფორმით, რომ მათ წარმატებით შეძლონ მათი გამოყენება. სასურველია, მასალა მომზადდეს ქართულ და ეთნიკური უმცირესობების იმ ენებზე, რომელთა ბავშვებიც სწავლობენ სკოლაში. მასალა უნდა იყოს სათანადოდ ილუსტრირებული და ადვილად აღსაქმელი ყველა ასაკის მოსწავლისათვის. ამასთან, უნდა მომზადდეს (დატრენინგდეს) სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც სათანადო ცოდნას გადასცემს სკოლის პედაგოგებს ჰიგიენის საკითხების სათანადო დონეზე სწავლებისათვის. სასურველია ამ თემებზე სატელევიზიო და რადიოგადაცემების მომზადება და აქტივობები სოციალურ ქსელებში/ინტერნეტშესაძლებლობების ფართოდ გამოყენებით (სპეციალური ვებგვერდი, ბლოგები, თემატური პოსტები, Q&A, და სხვ.).
- ჰიგიენური აღზრდისა და სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის, ეფექტიანი იქნება ბავშვთა თვითშემოქმედების წახალისება/განვითარება (საბავშვო სპექტაკლების/სკეტჩების მოწყობა ჰიგიენური თემების ინსცენირებით. აგრეთვე დერეფნების, კედლებსა და იატაკზე, ეზოებში და ღია სასკოლო ტერიტორიებზე სლოგანის ტიპის თემატური წარწერების თუ ნახატების განთავსება და სხვ.).
- ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ერთობლივი საქმიანობების დაგეგმვა წყლისა და სანიტარიის მიმართულებით. კარგი იქნება, თუ ამ თემაზე მოეწყობა ერთობლივი ტრენინგები და სემინარები, რომლებშიც მონაწილეობისათვის მოწვეულნი იქნებიან დარგის შესაბამისი ექსპერტები.

3. „ეკომიგრანტთა“ თავშესაფარი (დმანისი, ვ. გორგასლის 17/ყოფილი საავადმყოფოს შენობა)

თავშესაფარში, გარდა ეკომიგრანტებისა (5 ოჯახი), ცხოვრობენ უსახლკარო ოჯახები (7 ოჯახი). ფაქტობრივად, სადღეისოდ მხოლოდ 12 ოჯახი ცხოვრობს (სულ შენობაში არაოფიციალურად 22 ოჯახია დარეგისტრირებული). მათ მიერ დაკავებული ბინების ფართობი მერყეობს 26-დან 32 კვადრატულ მეტრამდე (2-3 ოთახი). შენობაში ცხოვრობს სულ 45 სული (აქედან - 5 წლამდე ასაკის 10 ბავშვი). საშუალოდ ერთ ბინაში 3-4 სულია. საცხოვრებლად დაკავებულია 2 სართული. შესახლება არალეგალურია და ადგილობრივ ხელისუფლებას არა აქვს ზუსტად ჩამოყალიბებული პოზიცია ამ ოჯახებთან მიმართებაში.



არსებული პრობლემები:

1. უბრალო დათვალიერებითაც კი თვალსაჩინოა, რომ შენობაში არსებული წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს საცხოვრებელი ფართობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს/სტანდარტებს.
2. მოსახლეობას წყალი მიეწოდება არასაკმარისი რაოდენობით (არასტანდარტულად). ძირითადი ონკანი, რომლითაც სარგებლობს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, არის ეზოში (წყლის მილით შენობის ეზოში შესული წყალი), სადაც წყალი მოედინება მცირე რაოდენობით, ამასთან, მისი ორგანოლექტიკური მონაცემები უმეტესწილად ვერ აკმაყოფილებს წყლის სასმელად ვარგისობის სტანდარტებს. არ არსებობს აგრეთვე წყლის ბაქტერიოლოგიური კვლევის დადებითი შედეგები.
3. 22 ბინიდან მხოლოდ 5 ბინაში არის წყალი შეყვანილი, თუმცა მისი სიმცირის გამო წყალს მოსახლეობა მოიხმარს მორიგეობით. წყლის მიწოდების დაბალი წნევის გამო მეორე სართულის მოსახლეობა ფაქტობრივად ვერ იყენებს ბინაში შეყვანილ წყალს.



4. წყლის გასუფთავების ძირითად მეთოდს წარმოადგენს წყლის გაჩერება ჭურჭელში გარკვეული დროით, მძიმე შეწონილი ნაწილაკების (დამაბინძურებლების) დალექვის მიზნით. წყლის ადუღებას მიმართავენ იშვიათ შემთხვევაში. შენობაში არ არსებობს წყლის ალტერნატიული საშუალება და არც რეზერვუარი.

5. შენობის ეზოში მოწყობილია 2 „ორმოს“ ტიპის ტუალეტი ხის ჯიხურებით, რომელთა სანიტარიული მდგომარეობა არადადამაკმაყოფილებელია, არ წარმოებს მათი რეგულარული დასუფთავება და დეზინფექცია. ვიზიტის დღისთვის ტუალეტები გადავსებული არ იყო.



6. 5 ოჯახს ტუალეტები მოწყობილი აქვს აგრეთვე ბინებში, თუმცა წყლის სიმცირის გამო მათი გამოყენება შეფერხებულია და არასასურველი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა ფიქსირდება.



7. 5 ოჯახს მოწყობილი აქვს აგრეთვე ხელის დასაბანი ნიჟარები (სველი წერტილები) ბინებში, თუმცა მათი რეგულარული გამოყენება აგრეთვე წარმოადგენს პრობლემას, წყლის სიმცირის გამო (ვიზიტის დღისთვის ნიჟარებთან იდო მყარი საპონიც).



8. სარეცხი ირეცხება ინდივიდუალურად, უმეტესწილად ხელით (მხოლოდ რამდენიმე ოჯახს აქვს სარეცხი მანქანა), თუმცა უჩივიან სარეცხი საშუალებებისა და წყლის სიმცირეს.

9. ეზოში დგას კონტეინერი „მყარი ნარჩენებისათვის“, რომელიც იცლება დასუფთავების სპეციალური სამსახურის მიერ კვირაში 2-ჯერ. ვიზიტის დღისთვის კონტეინერი გადავსებული არ იყო და სახურავიც სათანადოდ ჰქონდა დახურული.



10. დიდ პრობლემას წარმოადგენს საკანალიზაციო და სადრენაჟო სისტემა. საკანალიზაციო ქსელი ფაქტობრივად კვირაში 2 დღე გაჭედილია და ბინებში არსებული ტუალეტების გამოყენება შეუძლებელია. მოსახლეობა ელოდება საკანალიზაციო მილების თვითდაცლას. საკანალიზაციო კოლექტორი არ არის სათანადოდ დახურული. ძლიერი წვიმის დროს სადრენაჟო სისტემის არარსებობის გამო წყალი შედის როგორც შენობის საერთო სარდაფში, ასევე პირველი სართულის ბინებში და ქმნის ცხოვრებისათვის გაუსაძლის პირობებს.



11. შენობის სარდაფში დარჩენილია საავადმყოფოს სამანიპულაციო და საპროცედურო ნარჩენები, შპრიცები, ვადაგასული მედიკამენტები და სხვა სამედიცინო მყარი ნარჩენები, რაც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

12. ბინებში არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო საცხოვრებელ პირობებს (განსაკუთრებით, მცირე ასაკის ბავშვებისათვის): არასაკმარისი გათბობა, სიბინძურე, მძაფრი სუნი, ნესტი, და სხვ.

13. შენობის სახურავს სჭირდება შეკეთება - სახურავის მთლიანობა დარღვეულია და წვიმის დროს წყალი ჩამოდის. შესაბამისად, ეს ფაქტორი დამატებით ამძაფრებს შენობაში არსებულ მძიმე სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას.

14. მხოლოდ 2 ოჯახს აქვს ბინაში მაცივარი. შესაბამისად, დარღვეულია საკვები პროდუქტის სათანადოდ შენახვის წესები, რაც განსაკუთრებით პრობლემურია წლის ცხელ პერიოდში.

15. დაბალია მცხოვრებთა ჰიგიენური განათლების დონე.

16. მოსახლეობას არა აქვს გარკვეული (არ აქვს სათანადო ინფორმაცია), თუ რომელი სახელმწიფო სტრუქტურა (ორგანიზაცია) არის პასუხისმგებელი წყლის მიწოდების სისტემის ფუნქციონირების, სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების, საკანალიზაციო და სადრენაჟო სისტემის მოწესრიგებასა თუ გამართულ ფუნქციონირებაზე, აგრეთვე მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე.

17. არ არის შექმნილი არანაირი მმართველი ორგანიზაცია თუ მცხოვრებთა რაიმე ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა შენობაში არსებული პრობლემების მოგვარებას. შესაბამისად, მცხოვრებთა ქმედება ძირითადად ქაოსურია და მიმართულია ვიწრო პრივატული საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ. ამავე დროს, ადგილი აქვს თავშესაფრის ბინადრებს შორის დაპირისპირებასა და გაურკვეველობას სხვადასხვა ყოფით საკითხთან მიმართებაში. ადგილი აქვს შენობაში ახალი პირების შეჭრასა და ამჟამად გამოუყენებელი ოთახების დაკავების ფაქტებს. თუმცა აღნიშნული ფართობები ასევე არაღეგალურად უკვე აქვს დასაკუთრებული სხვა პირებს. ვიზიტის დროს შესაძლებლობა მოგვეცა, გავსაუბრებოდით რამდენიმე მათგანს. როგორც საუბარში აღნიშნავენ, ისინი ვერ ახერხებენ შენობაში საცხოვრებლად გადმოსვლას, რადგან მათ მიერ დაკავებული ფართობის მოწესრიგება და რემონტი გარკვეულ დროსა და ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს.

აღნიშნული თავშესაფრის თემაზე დამატებით ჩატარდა შეხვედრა დმანისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან (მერი, მერის მოადგილე, სოციალური და საფინანსო განყოფილების უფროსი, საკრებულოს წარმომადგენელი) და განხილულ იქნა პრობლემების მოგვარების შესაძლებლობები და გზები, საჭირო ფინანსების მოძიებისა თუ კომპეტენციების განსაზღვრასთან/დაზუსტებასთან მიმართებაში, უახლოესი მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით. შეხვედრაზე გამოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას არ აქვს ზუსტი წარმოდგენა თუ ჩამოყალიბებული პოზიცია თავშესაფრის მცხოვრებთა პრობლემების გადაჭრის გზების მიმართ. თუმცა დმანისის მერი დაინტერესებულია საკითხის გადაწყვეტით და

ემებს გამოსავალს მსგავს სიტუაციებში, წარმატებული მაგალითების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე.

რეკომენდაციები:

მიუღებელია არსებულ პირობებში მცხოვრებთა დატოვება პრობლემებთან სათანადო დახმარების გარეშე. საჭიროა ან არსებულ შენობაში სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნა ან მათი გადაყვანა სხვა საცხოვრებელ გარემოში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები.

პირობების გაუმჯობესებაში იგულისხმება:

- შენობის დაუყოვნებლივ გასუფთავება საავადმყოფოს ნარჩენებისაგან და კედლების სათანადო გაწმენდა-დამუშავება (დასუფთავების სპეციალიზებული სამსახურის მიერ და არა თვითნებურად).
- სასმელად ვარგისი წყლის დებიტის ზრდა და საჭირო რაოდენობით (უწყვეტი რეჟიმით) მიწოდება.
- საკანალიზაციო და სადრენაჟო სისტემის მოწესრიგება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
- ბინებში საცხოვრებელი (ჰიგიენური) პირობების გაუმჯობესება (ოთახების შეკეთება, წყლის შეყვანა, ტუალეტითა და ხელის დაბანის შესაძლებლობებით/“სველი წერტილებით“, და სათანადო გათბობით უზრუნველყოფა (მაგ., გაზის შეყვანა ბინებში) და სხვ.).
- შენობის სახურავის შეკეთება.
- მნიშვნელოვანია თავშესაფრის მცხოვრებთა მმართველი კომიტეტის ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა. ასეთ შეთხვევაში მცხოვრებთა წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტა უფრო ორგანიზებულ და მიზანმიმართულ ხასიათს მიიღებს. აღნიშნული კომიტეტი გაცილებით ეფექტიან შეძლებდა თავშესაფრის წინაშე არსებული პრობლემების სათანადო ორგანიზაციებში დაყენებასა და მათ დროულად მოგვარებას.
- მცხოვრებთა ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება პირადი ჰიგიენისა და ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებულ საკითხებში, სათანადო მასალისა და შესაძლებლობების გამოყენებით.
- საჭიროა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ტექნიკური მხარდაჭერა, მიგრანტთა თუ სოციალურად დაუცველი/უსახლკარო მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების მქონე საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის საკითხის უკეთ შესწავლისა და გადაწყვეტის მიზნით.

მომზადებულია
ვახტანგ ქოჩორაძის მიერ,
თებერვალი, 2018

1. მარნეულის საჯარო სკოლა (მარნეულის მუნიციპალიტეტი)

ს.ს.ი.პ ქალაქ მარნეულის მე-6 სრული საჯარო სკოლა მდებარეობს სოფელ ყიზილადჯლოსა და ქალაქ მარნეულს შორის. სკოლაში 1406 მოსწავლეა, მათგან 4 შშმ (1 გოგო და 3 ბიჭი) ბავშვია. სკოლაში 86 მასწავლებელია (80 ქალი და 6 მამაკაცი)

არსებული პრობლემები

1. სკოლაში მთავარი პრობლემა დაკავშირებულია სან. კვანძის გაუმართავობასთან. შენობის მე - 4 სართულზე განთავსებულია 6 მოქმედი ტუალეტი, სადაც პედაგოგებს ცალკე აქვთ გამოყოფილი სველი წერტილი. 6-ივე ტუალეტს ემსახურება 5 დამლაგებელი. ტუალეტები არ არის ადაპტირებული შშმ ბავშვებისათვის. არსებული სანიტარიული მდგომარეობა ტუალეტებში არ პასუხობს არსებულ სანიტარიულ სტანდარტებს: სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობა უსიამოვნო სუნი, რაც გაუმართავი საკანალიზაციო სისტემის შედეგია. ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც საკანალიზაციო სისტემა იჭედება და ტუალეტების ჩარეცხვა შეუძლებელი ხდება, რაც გარდა იმისა, რომ სხვადასხვა დაავადებების კერაა, ბავშვებს იძულებულს ხდის, საჭიროების შემთხვევაში, მოიცადონ. ბავშვები არასასურველი ჰიგიენური მდგომარეობის გამო ერიდებიან ტუალეტის გამოყენებას.
2. სკოლის ტერიტორიაზე საქონელი (ცხვარი) თუ სხვა ცხოველები ადვილად აღწევენ, რადგან ტერიტორია არ არის შემოღობილი. ეს გარემოება ხელს უწყობს სკოლის ტერიტორიის დაზინძურებას და ქმნის ბავშვების დაკბენის საშიშროებას.
3. სკოლას წყალი მიღებით მიეწოდება. იმის მიუხედავად, რომ მარნეულში წყალი იფილტრება, საეჭვოა მისი უსაფრთხოება ჯანმრთელობისათვის. როგორც პედაგოგები, ისე ბავშვები, ძირითადად, თავს იკავებენ ონკანიდან წყლის დაღვევისაგან. ბავშვების ნაწილს (ძირითადად - დაბალკლასელებს) ბოთლით დააქვთ წყალი სკოლაში. ასევე, 2017 წელს ლაბორატორიული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში შესული წყალი სასმელად უვარგისია.

- სკოლის განვითარების გეგმაში, რომელიც ყოველწლიურად დგება, არ არის გათვალისწინებული WASH საკითხები. შესაბამისად, არ არსებობს ბავშვებისათვის სტრუქტურირებული გაკვეთილები WASH-თან დაკავშირებით. ასევე, პედაგოგებს არ ჩატარებიათ ტრენინგი სანიტარიულ-ჰიგიენურ თემებზე. როგორც სკოლაში აღნიშნეს, სკოლას არ მიუღია სანიტარიულ-ჰიგიენური მასალა, რომელსაც პედაგოგები გამოიყენებდნენ მოსწავლეების დასარიგებლად. ამის მიუხედავად, საკლასო გაკვეთილების საათებში (ხანგრძლივობა - 40 წუთი, თვეში ორჯერ) მასწავლებლები ბავშვებს უტარებენ ლექციებს სანიტარიულ-ჰიგიენურ საკითხებზე, რაც დასტურდება ბავშვების გამოკითხვითაც.



- დაკვირვებისას ნათლად ჩანს მოძველებული საკლასო ოთახის კარები, დაზარალი კედლები და მწყობრიდან გამოსული ავეჯი. მოსწავლეები ამ გარემოებას ერთ - ერთ ყველაზე ხელის შემშლელ და უსიამოვნო ფაქტორად ასახელებენ.
- სკოლაში შეინიშნება თავგები, რაც უამრავი დაავადების გამავრცელებელი კერაა. საზ. ჯანდაცვა ვალდებულია ჩაატაროს დერატიზაცია, რომელიც არ ხდება.
- სკოლას აქვს სასადილო, თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ბავშვებს უტარდებათ ლექციები საკლასო საათებში ჰიგიენა-სანიტარიაზე, ისინი ბუფეტში შესვლის წინ ხელს ხშირ შემთხვევაში ვერ იბანენ, რაც განპირობებულია დასვენების დროის სიმცირის გამო. ამასთანავე, ის ბავშვები, ვისაც სახლიდან მოაქვთ წყალი ბოთლებით, იყენებენ ერთჯერადი მოხმარებისათვის განკუთვნილ ბოთლებს. მათი ხანგრძლივი გამოყენება სახიფათოა ჯანმრთელობისათვის, რადგან ბოთლებში მავნე ნივთიერებები გამოიყოფა სითხის დამატებით ჩასხმით.

შეხვედრები ჩატარდა აგრეთვე მარნეულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან, მარნეულის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, მარნეულის თვითმმართველობასთან (ადგილობრივი

სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები). შეხვედრებზე განხილული იყო პრობლემების შესაძლო გადაწყვეტისა და საჭირო ფინანსების მოძიების გზები, სამომავლო გეგმები, სამსახურების კომპეტენციები და პასუხისმგებლობები და ა.შ.:

- მარნეულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი არ ავრცელებდა ინფორმაციას WASH საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა 2018 წლიდან იგეგმება საგანმანათლებლო მასალების გავრცელება.
- სკოლის ტერიტორია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგულებაშია, და სწორედ მათი პასუხისმგებლობაა მაღალბიუჯეტური ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულება (იგეგმება სკოლის საკანალიზაციო სისტემის მოგვარება).

რეკომენდაციები:

- აუცილებელია სკოლის საკანალიზაციო სისტემაში ხარვეზების აღმოფხვრა, რომ გაქრეს სუნი და ტუალეტების ჩარეცხვა იყოს შესაძლებელი ნებისმიერ დროს.
- უნდა შემოიღოს სკოლის ტერიტორია, რომ საქონელმა თუ გარეშე პირებმა ვერ შეძლონ ტერიტორიაზე შეღწევა.
- უნდა მოხდეს სკოლაში არსებული წყლის პერიოდული ლაბორატორიული შემოწმება, მის დასაღვეად ვარგისიანობასთან დაკავშირებით.
- საკლასო საათებში უნდა გამახვილდეს ყურადღება საჭირო დროს ხელის საპნით დაბანის აუცილებლობაზე. შესაბამისად, აუცილებელია, ყურადღება მიექცეს დასვენების ხანგრძლივობას, რომ ბავშვებს ჰქონდეთ საკმარისი დრო ხელის დასაბანად.
- აუცილებელია, ბავშვებმა იცოდნენ ერთჯერადი ბოთლის მრავალჯერ გამოყენების მავნე თვისებების შესახებ.
- უნდა შემუშავდეს სპეციალური პროგრამა სანიტარიულ-ჰიგიენურ საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც ყურადღება დაეთმობა საკლასო საათებში, ან ამისათვის ცალკე იქნება გამოყოფილი დრო.
- უნდა შემუშავდეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და მიეწოდოს როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს. მასალები უნდა იყოს ადვილად გასაგები და შესაბამისად ილუსტრირებული. სასურველია მასალები, რომ ასევე იყოს ეთნიკური უმცირესობების ენაზეც.

2. ყიზილალჯლოს საბავშვო ბაღი (მარნეულის მუნიციპალიტეტი)

ყოზილადჯლოს საბავშვო ბაღში შეფასების დროს ირიცხებოდა 212 ბავშვი (119 გოგო და 93 ბიჭი). ბავშვები იყოფიან სამ ქართულ, ორ ქართულ-რუსულ და ორ ქართულ-აზერბაიჯანულ ჯგუფად. ბაღში მუშაობს 26 თანამშრომელი (25 ქალი და 1 კაცი). ბაღში არის 22 შშმ ბავშვი, ვისთვისაც სპეციალურად არის გამოყოფილი 6 მასწავლებელი.

არსებული პრობლემები

1. ყოზილადჯლოს სოფელში არ დგას ნაგვის კონტეინერი. არალეგალური ნაგავსაყრელი მდებარეობს ბაღის მახლობლად, რომელსაც თავად ბაღიც იყენებს, რაც, თავის მხრივ, ანტისანიტარიის კერაა.
2. ბაღში სასმელად გამოიყენება ადუღებული წყალი, რადგან, წყლის უკანასკნელმა ლაბორატორიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ წყალი დასაღვეად უვარგისი იყო. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირი ადუღებული წყლის მიღება არის ჯანმრთელობისათვის მავნე.
3. დაკვირვების დროს გამოვლინდა დაზიანებული ტუალეტი, სადაც წყალი უწყვეტად მოდიოდა.
4. შენობაში ხშირად ხდება ელექტროენერგიის სისტემების გადატვირთვა, რაც იწვევს ელექტროსისტემის გათიშვას. ასეთმა გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს დაზინძურება სამზარეულოში, საჭმლის კეთებისას, ან მოხდეს სხვა არასასურველი შემთხვევა.

შეხვედრა ჩატარდა მარნეულის მუნიციპალიტეტთან, რომელსაც დაესწრნენ ადგილობრივი სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები. შეხვედრისას იქნა განხილული არალეგალური ნაგავსაყრელის მდგომარეობა. იმის მიუხედავად, რომ ნარჩენების მართვის გეგმა უკვე დამტკიცებულია, კონტეინერების განთავსება ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

რეკომენდაციები:

- აუცილებელია, მოხდეს არალეგალური ნაგავსაყრელის დახურვა და სოფელში ნაგვის კონტეინერის განთავსება.
- საბავშვო ბაღს უნდა ჰქონდეს ნაგვის საკუთარი კონტეინერი, რომელსაც დაცლის მუნიციპალური სამსახური.
- საბავშვო ბაღში აუცილებლად უნდა განთავსდეს წყლის დისპენსერი, რომ არ მოხდეს ადუღებული წყლის ყოველდღიური მიღება.
- გასამართია ელ. სისტემა, რომ აღარ მოხდეს ბაღში გადატვირთვები და არ იყოს ხილვადობის პრობლემა.

3. მარნეულის „ელევატორის“ დასახლება

მარნეულის „ელევატორის“ დასახლება (ოფიციალური მისამართი - ელგუჯას N70), მდებარეობს მარნეულიდან 4 კილომეტრის დაშორებით. დასახლებაში ცხოვრობს 45 ოჯახი, ორ-ერთ-ოთახიან ბინებში, რომლებიც განეკუთვნებიან დევენილების, ეკომიგრანტებისა და სოციალურად დაუცველების ჯგუფებს. საშუალოდ, თითო ბინაში 3-4 ბინადარია. ადგილობრივ ხელისუფლებას არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია „ელევატორის“ მომავალსა და არსებული პრობლემების გადაწყვეტაზე.

არსებული პრობლემები

1. დათვალელებისას ნათლად გამოჩნდა, რომ „ელევატორის“ დასახლებაში არსებული მდგომარეობა ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს საცხოვრებელი ფართობის სტანდარტებს. შენობაში ჰიგიენურ-სანიტარიული პრობლემებია და გაუმართავია წყლის მიწოდების ინფრასტრუქტურა.



2. წყლის მიწოდება არარეგულარულია. არ არსებობს კონკრეტული გრაფიკი, რისი მეშვეობითაც მაცხოვრებლები დაგეგმავდნენ ჰიგიენურ-სანიტარიულ ქმედებებს. წყალს ხშირად პირდაპირ ონკანიდან სვამენ, თუმცა არ არსებობს წყლის ბაქტერიოლოგიური შეფასება.
3. დასახლების ეზოში მოწყობილია „ორმო“ ტუალეტები (ზოგ შემთხვევაში - ხის ჯიხურები). ზოგ ოჯახს აქვს საკუთარი ორმო ტუალეტი, დანარჩენი კი იყენებს საერთო ტუალეტს, რომელთა სანიტარიული მდგომარეობა არ არის მისაღები.



4. ტულეტებში მისასვლელად მოსახლეებს დიდი მანძილის გავლა სჭირდებათ, რაც ხშირ შემთხვევაში დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას, განსაკუთრებით მცირეწლოვან ბავშვებს, ვისთვისაც სიბნელები ან ცუდ ამინდში რთულია გადაადგილება.
5. დასახლებაში არის მოწყობილი ბოსელი, რომელიც წარმოადგენს დაავადებების სერიოზულ წყაროს (ფეკალური ნარჩენები, მწერები, ა.შ.). საქონელი სეირნობს „ელევატორის“ ეზოშიც.
6. დასახლებას არ გააჩნია სპეციალური კონტეინერი მყარი ნარჩენებისათვის. ნაგავი გროვდება სპეციალურ სათლში, რომელიც ააქვთ ბუნკერში. ეს გარემოება, ეზოში მოსიარულე საქონელთან ერთად, ქმნის ანტისანიტარიულ მდგომარეობას და სერიოზული დაავადებების წყაროს წარმოადგენს.
7. სართულების დალაგება ხდება თავად მოსახლეების მიერ. გამოკითხვისას გამოჩნდა, რომ იატაკების წმენდისას გამოიყენება მხოლოდ წყალი და არანაირი ქიმიური საშუალება.
8. ბინების მდგომარეობა (საცხოვრებელი პირობები) არ არის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო. შეინიშნება სინესტე, სიცივე, სიბინძურე, რაც ბავშვებისა და ასაკში შესული მოსახლეობის მოწყვლადობას ზრდის დაავადებების მიმართ.
9. ზოგ ოჯახში დგას სარეცხი მანქანა. თუმცა გაუგებარია, სად მიდის სარეცხ მანქანაში გამოყენებული წყალი. სავარაუდოდ, იგი დასახლების ტერიტორიაზე ხვდება, რაც არ შეესაბამება არანაირ სანიტარიულ ნორმას.
10. დასახლებაში შეინიშნება WASH ნორმების დაბალი ცოდნის დონე.
11. შენობაში არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა. შენობა არ ექვემდებარება საკანალიზაციო მიწების შეყვანას.

„ელევატორთან“ დაკავშირებით შედგა შეხვედრა მარნეულის თვითმმართველობასთან, სადაც შეხვედრას ადგილობრივი სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე განხილული იყო „ელევატორში“ მცხოვრები ეკომიგრანტებისათვის ახალი საცხოვრებელი სახლების აშენება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თვითმმართველობას ამ ეტაპზე არ გააჩნია კონკრეტული გეგმა, თუ როგორ უნდა გადაწყდეს „ელევატორის“ დასახლების არსებული პრობლემები.

რეკომენდაციები

- შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, არის ანტისანიტარიული პირობები. აუცილებელია მოსახლეების სხვა საცხოვრებელ გარემოში გადაყვანა, სადაც იქნება უკეთესი WASH პირობები.
- დაუყოვნებლივ საჭიროა ტერიტორიაზე ბოსელის დახურვა/სხვა ადგილზე გადატანა, რასაც შუამავლობა მუნიციპალიტეტმა უნდა გაუწიოს.
- „ელევატორის“ მობინადრებისათვის აუცილებელია ინფორმაციის მიწოდება პირადი ჰიგიენისა და სანიტარიის შესახებ.
- შენობის გარემონტება, მარნეულის მუნიციპალიტეტის შუამდგომლობით.
- შენობასა და ეზოში გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება, „ორმო“ ტუალეტების მოწესრიგება და მათი დეზინფექცია.
- აუცილებელია, გაკეთდეს „ელევატორში“ წყლის ლაბორატორიული ანალიზი, რომ დადგინდეს მისი ვარგისიანობა.

4. გოლთეთის საჯარო სკოლა (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი)

გოლთეთის სრული საჯარო სკოლაში რომელიც მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სწავლობს 51 ბავშვი (მენეჯმენტს არ აქვს ინფორმაცია, რამდენია გოგო და რამდენი ბიჭი) და მუშაობს 25 პედაგოგი (3 კაცი და 22 ქალი).

არსებული პრობლემები

1. სკოლის ტერიტორიაზე საქონელი და ძაღლები ადვილად აღწევენ, რადგან ტერიტორია არ არის შემოღობილი. ეს გარემოება ხელს უწყობს სკოლის ტერიტორიის დაზინძურებას და ქმნის ბავშვების დაკბენის საშიშროებას.



2. შენობაში არ არის შეყვანილი წყლის სისტემა, შესაბამისად, ტუალეტი მდებარეობს შენობიდან 50 მეტრის დაშორებით.
3. წყალი არ არის ტუალეტებში შეყვანილი, უწევთ ეზოში არსებული წყლის ონკანიდან პლასტმასის ჭურჭლით წყლის ტუალეტამდე მიტანა, შესაბამისად, წყალი ხშირად არ არის საკმარისი ჩარეცხვისათვის.
4. წყლის გაფილტვრა არ ხდება, რადგან სათავე ნაგებობიდან წყალი ლითონის მილებით უერთდება სოფლების ქსელს. მუნიციპალიტეტში ამბობენ, რომ ლითონის მილების გამო წყლის კომპანია უარს ამბობს დაქლორვაზე, რომ წყლით მოწამვლისგან დაიზღვიონ თავი.
5. საკლასო ოთახებში არ დგას ურნები.
6. ბავშვები, რომლებსაც სახლიდან მოაქვთ წყალი, იყენებენ ერთჯერადი მოხმარებისათვის განკუთვნილ ბოთლებს. მათი ხანგრძლივი გამოყენება სახიფათოა ჯანმრთელობისათვის, რადგან ბოთლებში მავნე ნივთიერებები გამოიყოფა სითხის დამატებით ჩასხმით.
7. ბავშვებმა თუ არ დაალაგეს საკლასო ოთახი, იგი დაულაგებელი რჩება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მრავალი დაავადება / ალერგია.
8. სკოლას აქვს სამოქმედო გეგმა, სადაც WASH საკითხები გათვალისწინებული არ არის.
9. სკოლის ეზოში არის ღია სტადიონი, რომელიც ერთადერთი გასართობია სოფლის ბავშვებისათვის, თუმცა ნალექიან დღეებში სტადიონზე ტალახიანდება.



10. წყლის დებიტი სკოლის ეზოს ონკანში ძალიან დაბალია და ხშირად წყდება.
11. არც ერთ WASH საკითხზე სკოლაში საგანმანათლებლო მასალა არ დარიგებულა და არ ყოფილა არანაირი სახის ტრენინგი ამ თემაზე.
12. ნაგავი გროვდება სკოლის ეზოში, რაც, მოშლილი ღობის გათვალისწინებით, საშიშროებას ქმნის ნაგვის სკოლის ტერიტორიაზე გაფანტვისა და დაავადებების გავრცელების თვალსაზრისით.



13. დაკვირვების დროს სკოლის ეზოში შეინიშნებოდა ფეკალიები და შუშის ნამსხვრევები.



14. მასწავლებლები და სკოლის მოსწავლეები იყენებენ ერთსა და იმავე ტუალეტებს.

რეკომენდაციები

- აუცილებელია სკოლის ტერიტორიის შემოღობვა (დაახლოებით 1 ჰა), რომ საქონელმა ვერ მოახერხოს სკოლის ეზოში შეღწევა და დაბინძურება.
- ტუალეტებში წყლის რეზერვუარების განთავსებაა აუცილებელი.
- საკლასო საათებში უნდა გამახვილდეს ყურადღება საჭირო დროს ხელის საპნით დაბანასთან დაკავშირებით. შესაბამისად, აუცილებელია ყურადღება მიექცეს დასვენების ხანგრძლივობას, რომ ბავშვებმა მოასწრონ ხელის დაბანა.
- აუცილებელია, ბავშვებმა იცოდნენ ერთჯერადი ბოთლის მრავალჯერ გამოყენების მავნე თვისებებზე.
- უნდა შემუშავდეს სპეციალური პროგრამა სანიტარიულ-ჰიგიენურ საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც ყურადღება დაეთმობა საკლასო საათებში, ან ცალკე იქნება ამისთვის გამოყოფილი დრო.
- უნდა შემუშავდეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალები და მიეწოდოს როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს. მასალები უნდა იყოს ადვილად გასაგები და შესაბამისად ილუსტრირებული. სასურველია, რომ მასალები იყოს ეთნიკური უმცირესობების ენაზეც.
- მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ცალ-ცალკე უნდა ჰქონდეთ გამოყოფილი ტუალეტები. განათლების სამინისტრომ უნდა იზრუნოს ამის შესახებ.

- მოსაწესრიგებელია სკოლის სტადიონი, რომ ბავშვებმა თავი აარიდონ ტალახში თამაშს და მდგარ წყალთან შეხებას.
- სასურველია, რომ საკლასო ოთახებში იყოს ნაგვის ყუთები.
- სკოლა უნდა მომარაგდეს ნაგვის კონტეინერით, რომ არ მოხდეს ნარჩენების ღიად განთავსება სკოლის ტერიტორიაზე

5. გოლთეთის საბავშვო ბაღი (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი)

გოლთეთის საბავშვო ბაღი მდებარეობს სოფ. გოლთეთის ბოლოში. ბაღში ირიცხება 18 ბავშვი (11 გოგო და 7 ბიჭი). დაკვირვებისას ბაღის შესასვლელთან იყო ტალახი, რამაც გადაადგილებაში პრობლემა შექმნა. დაკვირვებისას ბაღში შშმ მოსწავლეები არ ირიცხებოდნენ.

არსებული პრობლემები

- იმის მიუხედავად, რომ ბაღში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობა, სოფელში არ არის გაზი, შესაბამისად, შენობას ათბობენ შეშით, რის გამოც რამდენიმე ოთახში სიცივეა.



- ბაღში გაუმართავია ელექტროგაყვანილობა, რაც ხშირად ხილვადობას უზღუდავს სამზარეულოში მომუშავე პერსონალს.
- ბავშვებს სახლებიდან დააქვთ წყალი ერთჯერადი ბოთლებით, რაც დაუშვებელია.



- ბაღში არ არის WASH საკითხებზე არანაირი ლიტერატურა.
- ნარჩენები იყრება არალეგალურ ნაგავსაყრელზე ბაღის მახლობლად არსებულ ხევში.

რეკომენდაციები

- საჭიროა, საბავშვო ბაღში იყოს WASH მასალები, რომლებიც იქნება ვიზუალურად ადვილად აღსაქმელი.
- საბავშვო ბაღს უნდა ჰქონდეს ნაგვის საკუთარი კონტეინერი, რომელსაც დაცლის მუნიციპალური სამსახური.
- გასამართია ელ. სისტემა, რომ აღარ მოხდეს ბაღში გადატვირთვები და არ იყოს ხილვადობის პრობლემა.
- ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ერთჯერადი პლასტმასის ბოთლების გამოყენება არ შეიძლება, შესაბამისად, უნდა შეიზღუდოს მათი ექსპლუატაცია.
- მუნიციპალიტეტმა უნდა იმუშაოს სოფლის / ბაღის გაზიფიცირებაზე.
- საჭიროა ბრიკეტებით შეშის ჩანაცვლება.

შეხვედრები ჩატარდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტთან. შეხვედრებზე განხილულ იქნა სანიტარიულ-ჰიგიენური საგანმანათლებლო მასალებისა და ასევე ბრიკეტების მიწოდების საკითხები. როგორც შეხვედრებისას აღინიშნა, საბავშვო ბაღში არ არსებობს ისეთი საწყობი, რომელიც ბრიკეტებს ნესტისაგან დაიცავდა, თუმცა ეს ვარიანტი უკვე ყოფილა განხილული. რაც შეეხება წყლის დაბალ დებიტს, მუნიციპალიტეტში აღინიშნა, რომ იგეგმება ყარასოს წყალსადენის მშენებლობა (თუმცა პროექტი ჯერ არ არის შემუშავებული), სადაც წყალი თვითდინებით კლდიდან გამოდის და მისმა რაოდენობამ, პირველადი შესაწავლით, შესაძლოა, 7 სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფა შეძლოს და ამით არა მხოლოდ 7 სოფლის წყალმომარაგების პრობლემა მოგვარდება, არამედ ორჯერ მეტის, რადგან სხვა დანარჩენებს შესაბამისად წყლის დებიტი დაემატება, რომელიც აღნიშნულ 7 სოფელზე ნაწილდებოდა.